საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/129 „ 11 „ მაისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მ. ცაცუას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 17 თებერვალს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მანუჩარ ცაცუა არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის და მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობებზე 3 წლის ვადით.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე